

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი № 18

თბილისი

16.10.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)  
წევრები:

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული  
თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - საბჭოს  
თამჯდომარე;

თინათინ ბოჭორიშვილი - შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ სამეცნიერო-კვლევითი  
ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ნინო ხოლუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნიკოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;  
ლევან იმანაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და  
მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი,  
პროფესორი;

აკაკი ხელაძე - შპს - საქარტველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი;  
ქეთევან ცხადაძე - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის"  
დეკანი, პროფესორი;

მარინა გელევანიშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის  
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დალი კანდელაკი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.  
საუნივერსიტეტო საბჭოს აპარატის უფროსი;

გიორგი გვალია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების  
ფაკულტეტის პროფესორი;

გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს  
საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;

პატა შურლაძა - შპს "გრანთ თორნთონის ბიზნეს პროცესების" გადაწყვეტილების  
დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული დენტრის (შემდგომში - ცენტრი)  
წარმომადგენლები:

ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის  
სამმართველოს უფროსი;



თეონა ჟუჯუნაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლუბი:

სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია გივი ყიფიანი - თსსა ვიცე-კანცლერი

ტატიანა მარგალიტაძე - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნინო ღალანიძე - თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დირექტორი

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია აბდულ კახიძე - რექტორის მოადგილე

ნინო ყურშუბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

რუსულან ყიფიანი - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია რეზო კივნაძე - რექტორი

ნიკოლოზ ხორბალაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

თამარ ჩხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის უქამურტები (შემდგომში - უქამურტები):

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ქეთევან აფთარაშვილი;

ნინო სილაგაძე.

სხვა დამსწრე პირები:

ქრისტინე გაბისონია - სტენოგრაფისტი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო 15:09 საათი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საბჭოს თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4



პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენლი არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქონდა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტუდენტის წერილიდან, საჩივრიდან გამომდინარე უნივერსიტეტში განხორციელდა მონიტორინგი. შესაბამისად, მან სთხოვა ექსპერტს ესაუბრა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რაზეც სტუდენტს ჰქონდა პრეტენზია და იმის შესახებ, თუ რა შედეგი დადგა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან აფთარაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სტუდენტი ასაჩივრებდა მისაღებ გამოცდაში, შემოქმედებით ტურში მიღებული შეფასების შედეგს, კონკრეტულად კი საუბრობდა იმაზე, რომ შეფასების კრიტერიუმები და სქემა არ იყო გამჭვირვალე და სამართლიანი. სტუდენტის ნაშრომი ტექნიკური ხარვეზით იყო წარდგენილი. სტუდენტის თქმით, მისთვის არ იყო ცნობილი გარკვეული პროცედურები კრიტერიუმებთან დაკავშირებით. ექსპერტმა განმარტა, რომ შესწავლილი შედეგების შეფასება



მოხდა მე-3 და მე-5 სტანდარტების 3.3 და 5.1 კომპონენტების შესაბამისად საჩივარში წარმოდგენილ გარემოებებთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ გამოითხოვეს დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულებამ მიაწოდა. ექსპერტმა, პირველ გარემოებასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ დაწესებულებას გააჩნდა აბიტურიენტთა მიღების საგამოცდო წესი. შემოქმედებითი ტურების ჩატარებასთან დაკავშირებით, სადაც წარმოდგენილი იყო კრიტერიუმები კონკრეტულად რის საფუძველზე ხდებოდა სტუდენტის შეფასება. ამ კრიტერიუმების შესაბამისად, 100 ქულიანი შეფასების სისტემით ხდებოდა აბიტურიენტის ნაშრომების შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა შეფასების უწყისებიც, თუმცა ამ დებულებაში კონკრეტულად არ იყო წარმოდგენილი შეფასების სქემა, კერძოდ, ჰოლისტური შეფასების სქემაში არ იყო ჩაშლილი კომპონენტების ქულობრივი შეფასება. ექსპერტის თქმით, მათ უნივერსიტეტისგან მიღეს არგუმენტირებული პოზიცია, რაც ამ რეკომენდაციის ნაწილში ექსპერტთა მიერ გაზიარებულ იქნა. მათ შეისწავლეს შემთხვევების კომისიის პირადი საქმე და დაადგინეს, რომ კომისიის წევრები კომპეტენტურები იყვნენ შეეფასებინათ შემოქმედებითი ტურის ნაშრომები. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა მიმართულებით, როგორიც იყო დიზაინი, სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა შემოქმედებით ტურში შეფასება ხდებოდა მხოლოდ ხატვაში გამოცდით. გამომდინარე აქედან, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რჩევა - რეკომენდაცია: შემდეგში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით მომხდარიყო შესაბამისი დავალებების მიცემა.

შემდეგი საკითხი შეეხებოდა უშუალოდ აპელაციის პროცედურას. დაწესებულებაში არსებობდა შესაბამისი სააპელაციო სამსახური, რომელიც კოლეგიალურად იღებდა გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საბჭოში არ მეორდებოდა პირი, რომელიც ძირითად კომისიაში იყო წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფმა აქაც გასცა რეკომენდაცია. აპელაციის დებულების მიხედვით 11 საათიდან - 6 საათამდე ხდებოდა აპელაციებზე განაცხადების მიღება, ხოლო ვებ - გვერდზე ფიქსირდებოდა 11 საათიდან - 5 საათამდე. ექსპერტის მოსაზრებით, რადგან სტუდენტს უწევდა აპელაციის საფასურის გადახდა, ადგილზე მისვლა და განცხადებით ნაშრომის გასაჩივრება, გარკვეულწილად მისთვის შეზღუდული გამოდიოდა აპელაციის შესაძლებლობა, რაზეც უსდ-ის წარმომადგენლის არგუმენტირებული პასუხი იყო, რომ ვებ - გვერდზე იყო ტექნიკური ხარვეზი. ექსპერტის განმარტებით, აპელაციაზე გატანილი ნაშრომის განხილვა ხდებოდა უშუალოდ აბიტურიენტთან გასაუბრების შედეგად. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, უპრიანი იქნებოდა მეტი ანონიმურობის დაცვა აპელაციის ნაშრომის განხილვისას. მან ასევე, აღნიშნა, რომ დასკვნაში საუბარი იყო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებისათვის შექმნილ საიდენტიფიკაციო კოდებზეც. რომლის საფუძველზეც ხდებოდა უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე მონაცემების გამოქვეყნება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის შესაბამისად, თუმცა აღნიშნული კოდები არ იქნა გამოყენებული ნაშრომების დაშიფრისას, ნაშრომებში წარმოდგენილი იყო სახელი, გვარი და პირადი ნომერი.

ექსპერტებმა შეისწავლეს ოქმებიც, სადაც აღწერილი იყო გამოცდის პროცედურები. საგამოცდო ოფისმა კომისიას გადასცა დაუზიანებელი ნაშრომები, თუმცა საჩივრიდან გამომდინარე, აბიტურიენტს მითითებული ჰქონდა, რომ ნაშრომი იყო დაზიანებული. ექსპერტმა განმარტა, რომ ნაშრომების გადაცემის შემდეგ, ხდებოდა მათი დალუქვა აბიტურიენტების თანდასწრებით, რასთან დაკავშირებითაც ოქმში არანაირი ხარვეზი არ იყო დაფიქსირებული. აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით, ნაშრომები გადაეცა შემთხვებელ კომისიას, რომლის ოქმშიც არ იყო მითითებული რაიშე დაზიანებაზე. ნაშრომების გახსნის



შემდეგ მოხდა ქულების იდენტიფიცირება, რაც ექსპერტებმა ჩათვალეს გარვეულწილად ბუნდოვნად, შესაბამისად, მათი აზრით, სასურველი იქნებოდა აღნიშნული პროცედურების უფრო გამჭვირვალედ აღწერა, შეფასების შემდეგ ხდებოდა ქულების დაწერა თუ მანამდე. ასევე, ექსპერტის თქმით, ოქმებში აღწერილი არ იყო სააპელაციო საბჭოს მუშაობის წესი, რის საფუძველზეც ხდებოდა ქულის მომატება. ექსპერტმა დასძინა, რომ ისინი დაინტერესდნენ აპელაციის სტატისტიკით, გამოითხოვეს ბოლო 2 წლის განმავლობაში აპელაციების რაოდენობა, 30-33 ნაშრომიდან დავმაყოფილებული იყო 7 - 8 სტუდენტი, სადაც შეფასების მომატება მოხდა 1 ქულით. დებულებასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დებულება წარმოდგენილი იყო ვებ - გვერდზე, თუმცა რადგან აბიტურიენტის განაცხადში იყო აღნიშნული, რომ მისთვის არ იყო ცნობილი კრიტერიუმები, მათ რჩევა მისცეს უნივერსიტეტს, რომ შეემუშავებინათ საინფორმაციო ბრომურები, მოკლე ინსტრუქციები, გზამკვლევი, რომელშიც არა მხოლოდ პროცედურულ - ტექნიკური საკითხები იქნებოდა წარმოდგენილი, არამედ უნივერსიტეტის მოთხოვნები ხატვის ტურთან დაკავშირებით.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ისიც განსხვავებული სპეციფიკის დაწესებულების, თავდაცვის აკადემიის წარმომადგენელი იყო. მისი განმარტებით, თვითონ ანკეტა-კითხვარში წერია, რომ აბიტურიენტი ვერ მოხვდებოდა უნივერსიტეტში თუ ვერ გაივლიდა შემოქმედებით ტურს. თავჯდომარის თქმით, ექსპერტთა სურვილი შესაძლოა განხილული ყოფილიყო რჩევის სახით, თუმცა აბიტურიენტებს, რომლებსაც სურდათ ჩაებარებინათ სამხატვრო აკადემიაში, კონსერვატორიაში ან თეატრალურ უნივერსიტეტში უნდა სცოდნოდათ, რომ დებულების მიხედვით, 30 ივნისამდე ვერ გადაეგზავნებოდათ მათი მონაცემები ეროვნულ საგამოცდო ცენტრს, თუ ვერ გაივლიდნენ შემოქმედებითი ტურის კონკურსს. შესაბამისად, მან განმარტა, რომ უნივერსიტეტის მიმართ მოთხოვნის უფლება არ ჰქონდათ. ექსპერტი დაეთანხმა თავჯდომარეს და აღნიშნა, რომ ხატვასთან დაკავშირებით მოთხოვნების მითითება წარმოდგენილი ჰქონდათ რჩევის სახით.

ექსპერტთა თავჯდომარემ ისაუბრა მიღების პროცედურებთან დაკავშირებით, რომელიც მისი თქმით, აბსოლუტურად კანონმდებლობის შესაბამისი იყო. მირითადი რეკომენდაციები შეეხებოდა შეფასების სქემის შემუშავებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მეტი გამჭვირვალეობა და სამართლიანობა, მითუმეტეს, როდესაც შემოქმედებით ტურს ჩარიცხვისას ჰქონდა საკმაოდ მაღალი კოეფიციენტი. ასევე, ექსპერტმა ისიც აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი კრიტერიუმები იყო აბსოლუტურად ვალიდური.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებული პროცედურებით და დააკონკრეტა თუ როგორ ხდებოდა შემოწმება, რა რაკურსით იჯდა აბიტურიენტი ობიექტთან და როგორ ხდებოდა ნამუშევარზე ჩრდილების კონტროლი, რამდენადაც ეს დამოკიდებული იყო მზის სინათლეზე, დღის პერიოდზე და რაკურსზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო დაღანიძემ, პირველ რიგში, აღნიშნა, რომ სამხატვრო აკადემიაში მაქსიმუმ 10 აბიტურიენტი ირიცხებოდა და განმარტა, რომ შემფასებელ კომისიას ნამუშევრებთან ერთად ბარდებოდა აბიტურიენტისთვის სამი სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული ფოტო. კონკურსი ტარდებოდა დერეფანში, სადაც პროცესს ხელმძღვანელობდა



კომისია. მისი თქმით, ყველა ნატურმორტი მარცხნიდან იყო განათებული ყველა აუდიტორიაში, შესაბამისად, ყველა აბიტურიენტი თანაბარ პირობებში იყო.

საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა აღნიშნა, რომ აბიტურიენტთა მისაღები შემოქმედებითი კონკურსის დებულებაში იკითხებოდა შეძლევი სახის ჩანაწერი, რომ კონკურსის ჩატარებამდე დაწესებულება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ერთად ქმნიდა აბიტურიენტთა მონაცემთა ბაზებს. საბჭოს წევრმა დასმინა, რომ ეს ნიშნავდა, რომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი დაწესებულებას გადასცემდა იმ აბიტურიენტების რაოდენობის შესახებ მონაცემებს, რომელთაც არჩეული ჰქონდათ სამხატვრო აკადემია, ხოლო შემდეგ ხდებოდა მათი რეგისტრაცია დაწესებულებაში და შედეგების შეჯერება. უსდ-ის წარმომადგენელმა საბჭოს წევრს დაუდასტურა ნათქვაში. საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა ასევე, აღნიშნა, რომ დებულების მიხედვით, ფორს - მაჟორის შემთხვევაში, შემოქმედებითი გამოცდის განმეორებითი კონკურსის ჩატარებაზე საგამოცდო ოფისი იღებდა გადაწყვეტილებას, რაც მისი მოსაზრებით არ იყო სწორი, რადგან საგამოცდო ცენტრი პასუხისმგებელი იყო მხოლოდ ორგანიზაციულ მხარეზე, განმეორებითი კონკურსის ჩატარების გადაწყვეტილება კი უნდა მიეღო აკადემიურ საბჭოს, რექტორს ან სხვა მაღალ კოლეგიურ ორგანოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გადაწყვეტილებას განმეორებითი გამოცდის ჩატარების შესახებ იღებდა საგამოცდო ოფისი ისეთ ფორს - მაჟორულ სიტუაციაში როგორიც იყო, მაგალითად, მიწისძვრა. მისი თქმით, საგამოცდო ოფისი პასუხისმგებელი იყო ორგანიზაციულ ნაწილზე. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას იღებდა საგამოცდო ოფისი, იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციულად რაიმე საფრთხის წინაშე დადგებოდა გამოცდის ჩატარება. ასევე, დასმინა, რომ ისინი განიხილავდნენ არსებული ჩანაწერის შესწორებას.

საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა ყურადღება გაამახვილა დებულების მე - 14 მუხლის მე - 2 პუნქტზე, პრეტენზიების წარმოდგენასა და განხილვაზე, რაზეც ის დაეთანხმა ექსპერტთა მოსაზრებას, რომ ბოლო შედეგის გამოქვეყნებიდან მე - 2 დღის 18:00 საათამდე აბიტურიენტს შეიძლება ვერ მოესწრო ვერც შედეგის გაცნობა და ვერც აპელაციის თანხის გადახდა. საერთო სამაგისტრო გამოცდების დებულება განსაზღვრავდა, რომ მაგისტრანტებისათვის შიდა გამოცდების შედეგების აპელაციის ვადა 3 კალენდარული დღე უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, სასურველი იქნებოდა დაწესებულებას, ამ შემთხვევაშიც, გონივრული ვადა განესაზღვრა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეროვნული გამოცდების დანიშვნის თარიღი მოძრავი იყო, ის ხან 1 ივნისს ტარდებოდა და ხან 30 იუნისს. მათი ვალდებულება იყო მოესწროთ შიდა გამოცდის, აპელაციის ჩატარება, ქულების გადამოწმება და შემდეგ მონაცემების მიწოდება გამოცდების ეროვნულ ცენტრისთვის ეროვნულ გამოცდებამდე. ხოლო, ეროვნული გამოცდები, როგორც მან აღნიშნა არ იყო ფიქსირებული. ამავე დროს, მათთვის გამოწვევა იყო სასწავლო პროცესის დასრულების მოსწრება, რადგან გამოცდის ჩატარების პერიოდში, 10 დღის განმავლობაში აკადემია იხურებოდა. უსდ-ის წარმომადგენლის თქმით, მიუხედავად ყველაფრისა, მათ იფიქრეს აღნიშნულ რეკომენდაციაზე. მან განმარტა არსებული პრაქტიკა, როგორც წესი სამი დღის განმავლობაში სამი ნაკადი გადიოდა გამოცდას, ქულები იტვირთებოდა იმავე დღეს და მხოლოდ მე-3



ნაკადის სტუდენტებს ჰქონდათ 24 საათი. შესაბამისად, უსდ-ის წარმომადგენლები განიხილავდნენ აპელაციაზე ნაშრომის წარმოდგენის ვადის გაზრდას და წლევანდელი კალენდრის სხვაგვარად შედგენას, მაგალითად, შესაძლებელი იყო სემესტრის ადრე დაწყება და ამ შემთხვევაში, ყველა აბიტურიენტს აპელაციისათვის ექნებოდა 3 დღე.

საბჭოს წევრმა, გიორგი აბრამიშვილმა ექსპერტებს ჰკითხა, განცხადებაში აღნიშნულმა დაზიანებამ რაიმე ზეგავლენა თუ მოახდინა შეფასებაზე, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ დაზიანების შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება არც ოქმებში და არც უშუალოდ ნაშრომზე, მან დასძინა, რომ გასათვალისწინებელი იყო გარემოება, რომ ნაშრომის ჩაბარება და დალუქვა ხდებოდა აბიტურიენტის თანდასწრებით.

საბჭოს წევრი, გიორგი აბრამიშვილი დაინტერესდა რა აუცილებლობა იყო აბიტურიენტისთვის აპელაციის საფასურის გადახდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეფასების შეცვლის შემთხვევაში აბიტურიენტს თანხა უკან უბრუნდებოდა, ხოლო რაც შეეხება საფასურის აუცილებლობას, მან დაამატა, რომ ისინი ფიქრობდნენ აბიტურიენტის აპელაციის საფასურისგან გათავისუფლებაზე. მან დასძინა, რომ დაწესებულებას აქვს საკონსულტაციო ტური, სადაც მონაწილეობისათვის აბიტურიენტი თანხას არ იხდიდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ აპელაციის საფასური წარმოადგენდა მინიმალურ ბარიერს, იმისათვის, რომ ყველა აბიტურიენტს ავტომატურ რეჟიმში არ გაესაჩივრებინა გამოცდის შეფასება.

საბჭოს წევრი, ქეთევან ცხადამე დაინტერესდა აპელაციის საფასურით, რაზეც უსდ-ის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აპელაცია ღირდა 50 ლარი. საბჭოს წევრმა თქვა, რომ ეს შეიძლება დამაბრკოლებელ გარემოებადაც ჩათვლილიყო.

საბჭოს თავჯდომარის მოსაზრებით, აპელაციისათვის არ უნდა ყოფილიყო დადგენილი საფასური, რადგან გასაჩივრების უფლება იყო მომავალი სტუდენტის უფლება. მან განმარტა, რომ ადრე მობილობაც ფასიანი იყო, თუმცა როდესაც საუბარი ეხებოდა ხარისხის განვითარებას და გამჭვირვალებას ეს პროცედურები არ უნდა ყოფილიყო ფასიანი. მან დასძინა, რომ შეიძლება შპს-ებს ჰქონდათ უფლება გარკვეული თანხა განესაზღვრათ აპელაციისათვის, თუმცა მისი მოსაზრებით, ეს პროცედურა უფასო უნდა ყოფილიყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი აბრამიშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც ჩვენს საგამოცდო ცენტრში აპელაციისათვის შემოჰქონდათ განცხადება, განმცხადებლებს დაბეჯითებით სთხოვდნენ, რომ მიეთითონ იმ ტესტზე, სადაც მათ ეჭვი ჰქონდათ, რომ დაშვებული იყო შეცდომა, თუმცა ამას ხშირად არ აკეთებდნენ. ამის გამო ნამუშევარი მთლიანად მოწმდებოდა კომისიის მიერ, რაც სტუდენტის სასარგებლოდ ხდებოდა. საბჭოს წევრმა დაწესებულებას შემოქმედებით ტურთან დაკავშირებით, აგრეთვე, ურჩია, რომ კონკურსზე ყოფილიყო თავისუფალი თემა, რადგან ზუსტად ყველა დარგისა და ქვედარგისათვის ასეთი სახის გამოცდა არ იქნებოდა შედეგის მომცემი.



უსდ-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკონკურსო დავალებების თემებს სახვითი ხელოვნებისა და დიზაინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი წყვეტდა. მისი განმარტებით, საკონკურსო დავალების შინაარსთან დაკავშირებით, წელს იგეგმებოდა გარკვეული ცელილებები, რაც უნდა განხილულიყო დაწესებულების ოქტომბრის აკადემიური საბჭოზე. რაც შეეხებოდა, შემოქმედებით ტურზე ყველა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებას, დაწესებულების წარმომადგენლის დასმინა, რომ დაწესებულებაში მოქმედი 24 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში გამოცდების პერიოდი გაიწელებოდა.

საბჭოს წევრი დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს, თუმცა დასმინა, რომ სასურველი იქნებოდა ერთი გამოცდა საერთო ყოფილიყო და ერთი სტუდენტის მიერ არჩეული.

უსდ-ის წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ესეთი უნივერსალური გამოცდა სამხატვრო აკადემიაში 2005 წლიდან ტარდებოდა, რომლის შემუშავების დროს დაწესებულებაში განიხილეს, თუ რა იყო ფერმწერის, გრაფიკოსის, მოქანდაკის და არქიტექტორის საბაზო უნარი. მისი თქმით, მათ ჩათვალეს, რომ ეს საბაზო უნარი იყო გრაფიკული ნახატი, რომელიც იძლეოდა კომპოზიციის, კონსტრუქტირების, სივრცის, მოცულობის აღქმის და სხვა უნარების შემოწმების საშუალებას.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა აღნიშნული მეთოდი თუ იყო აპრობირებული მსოფლიოში, რაზეც უსდ-ის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მსგავსი მეთოდი გამოყენებული იყო ამერიკასა და ევროპაში, თუმცა იყო შემთხვევებიც, როგა დარგის მიხედვით ტარდებოდა სხვა სახის გამოცდა, თუმცა იმ ქვეყანაში მისაღებ გამოცდასთან დაკავშირებითაც სხვა რეგულაციები იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა დასმინა, რომ იყო ისეთი ქვეყნებიც, სადაც მხოლოდ პორტფოლიოთი ხდებოდა უნივერსიტეტში მოხვედრა, თუმცა ამ შემთხვევაში სტუდენტები ძირითადად სახელოვნებო გიმნაზიიდან აბარებდნენ. მან დაამატა, რომ, შესაბამისად, საზღვარგარეთ ამ კუთხით აბსოლუტურად სხვა რეალობა იყო. უსდ-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადრე იყო ჩანაწერი იმის შესახებ, რომ პროფესიული პროგრამების ჩაბარების შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო უნივერსიტეტში მოხვედრა, თუმცა პროფესიულ პროგრამები უფრო პრაგმატული კვალიფიკაციების მინიჭებაზე იყო ორიენტირებული და არა შემოქმედებითი და სახელოვნებო უნარების განვითარებაზე. მისი თქმით, თბილისში მოქმედი ორი სამხატვრო სკოლიდან არცერთი არ იყო მოწოდებული გაეზარდა სავარაუდო აბიტურიენტების რაოდენობა.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა სამხატვრო აკადემიაში აბიტურიენტების რაოდენობა იმატებდა თუ იკლებდა, რაზეც უსდ-ის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რაოდენობა სტაბილური იყო. მან დასმინა, რომ ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში ზოგადად აბიტურიენტების რაოდენობა იკლებდა, თუმცა მათთვის მაინც სტაბილური რჩებოდა, მაგრამ არა ერთხაირად ყველა ფაკულტეტზე. მაგალითად, არქიტექტურისა და მედიახელოვნების ფაკულტეტზე აღინიშნებოდა მაღალი კონკურსი, ერთ ადგილზე მოდიოდა 10 – 11 აბიტურიენტი, რაც შეეხება, სახვითი ხელოვნებისა და დიზაინის მიმართულებას, მოთხოვნა უფრო ნაკლები იყო. უსდ-ის წარმომადგენლის განმარტებით, მთლიანობაში 300 – 320 მისაღებ ადგილზე 500 -550 აბიტურიენტი მოდიოდა.



საბჭოს წევრი, გიორგი აბრამიშვილი დაინტერესდა დაწესებულების კურსდამთავრებულთა შემდეგი საქმიანობა ხორციელდებოდა დასაქმების თუ თვითდასაქმების გზით, რაზეც უსდის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ გასულ წელს გაიარეს ავტორიზაცია, რომლის დროსაც განახლეს კურსდამთავრებულების ბაზები. აღმოჩნდა, რომ მაგალითად, არქიტექტურისა და მედიახელოვნების მიმართულებით, თითქმის 100% - იანი დასაქმება და თვითდასაქმება იყო. ხოლო, რაც შეეხება, სახვით ხელოვნებაში ფერმწერს, გრაფიკოსს იქ უფრო ნაკლები იყო დასაქმება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ შეიმუშავეს გარკვეული კრიტერიუმები თუ რას ნიშნავდა თვითდასაქმება და განმარტა, რომ თუ კურსდამთავრებული აკადემიური შემდეგ კრიტერიუმებს - კონკურსში მონაწილეობის რაოდენობა, გამოფენების რაოდენობა ტიპის მიხედვით (პერსონალური თუ ჯგუფური) და შემოქმედებითი პროექტი, ესეიგი ის დარჩა პროფესიაში და იყო თვითდასაქმებული. უსდის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გაითვალისწინეს და უკვე დაწყებული პქონდათ რეკომენდაციების შესრულება, შეფასების ჰოლისტურ სქემასთან დაკავშირებით. აკადემიური საბჭოს მიერ მისი მიღებისთანავე, ის აისახებოდა შემოქმედებით ტურშიც, კრიტერიუმები გაწერილი იქნებოდა ქულებით, გამოცდასთან მაქსიმალურად მიახლოებულად ჩატარდებოდა გამოცდის სიმულაცია, რომელიც იქნებოდა იმავე სირთულის, აბიტურენტებს ხატვისთვის მიეცემოდათ ხუთი საათი. გარდა ამისა, ისინი პერსონალურად მიიღებდნენ აკადემიის პედაგოგისგან კონსულტაციას.

საბჭოს თავჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიმართ ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (საიდენტიფიკაციო კოდი: 203851545) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

გამოცხადდა შესვენება: 15:45 საათზე

სხდომა განახლდა: 15:48 საათზე

2. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;



საბჭოს თავჯდომარემ, დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მათ საბჭოს წევრებისთვის წარედგინათ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე ანგარიში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოახსენა საბჭოს წევრებს, რომ სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას 1 წლის განმავლობაში დაევალა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების ანალიზი და შესრულება. მისი განმარტებით, ძირითადად, ყურადღება გამახვილებული იყო აკადემიის მისის კორექტირებაზე, რათა ის ყოფილიყო უფრო ლაკონური და ნაკლებად ამბიციური. აგრეთვე, რეკომენდირებული იყო მისის პროფესიული განათლების მხრივ ჩამლა, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობების გამიჯვნა, მათი საქმიანობის შეფასება, ძირითად მიმართულებებში კვლევის კომპონენტის გაძლიერება, ხოლო რაც შეეხებოდა საზღვაო განათლებას, მისი ინტერნაციონალიზაცია ახალი სპეციალისტების მოწვევის ხელშეწყობით და ამით საგანმანათლებლო პროგრამების სტაბილურობის უზრუნველყოფა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აკადემია მთლიანად იყო ჩართული სამუშაო პროცესში, განიხილეს არსებული დებულებები, პროცედურები და წესები, მოხდა აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული პერსონალის უფლებამოსილებების გამიჯვნა და დაკორექტირება. მისი განმარტებით, შესასრულებელი რეკომენდაციების ნაწილი გადატანილი იყო შემდეგ სამუშაო წელს. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნა იყო ყველანაირი რისკების განსაზღვრა, გამიჯვნა და რეგულაცია, რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილი იყო ანგარიშთან თანდართული მასალა.

საბჭოს წევრმა, გიორგი აბრამიშვილმა აღნიშნა, რომ ის კარგად იცნობდა უნივერსიტეტის რეგულაციებს, ხშირად ადარებდა მას საინჟინრო აკადემიის რეგულაციებთან, მოსწონდა ისინი, თუმცა საბჭოს წევრის თქმით, სასურველი იყო ხანდახან ახალი კანონმდებლობის გადახედვაც. საბჭოს წევრმა მაგალითისთვის მოყვანა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესი, სადაც დიპლომის განმარტება მოცემული იყო 2015 წლის ვერსიით, ხოლო 2019 წელს დიპლომის განმარტებაში შევიდა ცვლილება, რომელიც დაკავშირებული იყო, სწორედ, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამასთან. მობილობის წესს რაც შეეხება, საბჭოს წევრმა პირველ რიგში, აღნიშნა, რომ გარე მობილობის ტერმინი არ არსებობდა, ხოლო, მეორე პრობლემა იყო ის, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, რეგისტრაცია არ ხდებოდა ცენტრის ვებ-გვერდზე, 2019 წლის ზაფხულში შევიდა ცვლილება 10.2 ბრძანებაში და ადმინისტრატორად მობილობის საკითხში დაინიშნა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (ემისი), ხოლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მობილობის წესში კი ადმინისტრატორად მითითებული იყო ცენტრი. საბჭოს წევრი, ასევე, დაინტერესდა ინგლისური ენის არასაკმარის დონეზე სწავლებასთან დაკავშირებით სტუდენტების პრეტენზით. საბჭოს წევრის განმარტებით, არგუმენტირებულ პოზიციაში

დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ისინი კარგად ასწავლიდნენ ინგლისურ ენას, რაც არ დასტურდებოდა ვიზიტით. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა რატომ შეეპარა ექსპერტს ეჭვი ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებით და შეიცვალა თუ არა რაიმე დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესში დიპლომის განმარტებასთან და მობილობის წესში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი გადახედავდნენ მოქმედ კანონმდებლობას და ასახავდნენ რეგულაციებში. რაც შეეხება ინგლისური ენის სწავლებას, მისი თქმით, ინგლისური ენა აკადემიაში ისწავლებოდა პირველი სამი კურსის განმავლობაში, ხოლო მე - 4 კურსზე დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობდა ცალკეულ სასწავლო კურსებს ინგლისურ ენაზე, სტუდენტების მოთხოვნა კი ექსპერტებთან გასაუბრებისას იყო ინგლისური ენის მე - 4 კურსზეც გაგრძელება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით 30 კრედიტი საკუთრისი იყო, იმისათვის, რომ სტუდენტს მე - 4 კურსზე გაევლო სპეციალური საგნები ინგლისურ ენაზე, მითუმეტეს, რომ დარგის ენა, ისევე როგორც რეგულაციები, წესები, კონვენციები, მიმოწერა უკვე მოქმედი მეზღვაურებისათვის იყო ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, ეს იყო მხოლოდ სტუდენტების სურვილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე დაამატა, რომ ეს მოთხოვნა იყო საზღვაო ფაკულტეტის სტუდენტებისგან, რომლებიც მე - 4 კურსიდან გადიოდნენ გარკვეულ გასაუბრებებს დამსაქმებლებთან, დასაქმება ხდებოდა საერთაშორისო გემებზე და სტუდენტთა ეს მოთხოვნა გამოწვეული იყო გასაუბრების პროცესის შიშით. მისი თქმით, მათი შეთავაზება იყო სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე განხორციელება. ამჟამად, ხორციელდებოდა სამი სასწავლო კურსი, რასაც უფრო ეფექტურად თვლიდნენ, ვიდრე მხოლოდ ინგლისური ენის სწავლებას.

საბჭოს წევრი გიორგი გვალია დაინტერესდა ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო თუ არა ეს სპეციალური კურსები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ვინც დადებით შეფასებას იღებდა სასწავლო კურსებში მათ ჰქონდათ შესაძლებლობა გაევლოთ სპეციალური კურსებიც.

საბჭოს წევრმა, გიორგი გვალიამ აღნიშნა, რომ მისთვის ინგლისური ენისთვის 30 კრედიტის მინიჭების მიზანშეწონილობის არყოფნის მიზნები იქნებოდა რაიმე სახის კვლევა, რომელიც დაადასტურებდა, რომ სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ გავიდოდა მათთვის საჭირო კომპეტენციაზე. ის დაინტერესდა თუ ჰქონდა დაწესებულებას ამ ტიპის კვლევა, რადგან მისი აზრით, გარკვეულწილად, სტუდენტთა შიშები ობიექტურ საფუძველს მოკლებული არ იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას არ უგულისხმია სპეციალური ინგლისური ენა, რომელიც გასაუბრებისათვის იყო საკმარისი. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამები რეგულირდებოდა დარგობრივი სტანდარტით, STCW<sup>1</sup>- თი,

<sup>1</sup> The International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers



რომელიც იყო მეზღვაურთა მომზადების საერთაშორისო სტანდარტი. აღნიშნულ რეგულაციაში მკაფიოდ იყო განსაზღვრული ინგლისური ენის ის მინიმალური დონე, რომელიც უნდა სცოდნოდა ნავიგატორს, მექანიკოსს, ელექტრომექანიკოსს და იმ საათების რაოდენობა, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ ის გამხდარიყო კადეტი და შემდეგ მიეღოთ სამუშაო დიპლომი. დაწესებულება თავის მხრივ, სტუდენტს პირველ კურსზე სთავაზობდა ინგლისური ენის საბაზო კურსს, ხოლო მეორე კურსიდან სპეციალიზებული ინგლისური ენის კურსს. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ სტუდენტებს დამატებით სასწავლო კუსის მიღმა ამზადებდნენ თუ როგორ უნდა წარმართათ გასაუბრება, ფსიქოლოგიური და ენობრივი თვალსაზრისით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დაამატა, რომ ბოლო შედეგებით 40 სტუდენტიდან 36 სტუდენტი კომპანიამ აირჩია გემზე წასაყვან კანდიდატებად.

საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ ჰქონდა უსდ-ის სტატისტიკა ამ სამ სპეციალურ სასწავლო კურსზე რამდენი სტუდენტი ახერხებდა მოხვედრას, რაზეც უსდ-ის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს დამოკიდებული იყო სასწავლო კურსის სპეციფიკაზე, ზოგიერთი კურსისთვის ინგლისური ენა სავალდებულო იყო, ხოლო ზოგიერთ საგანზე ორივე ენა სამუშაო ენად იყო მიჩნეული. უსდ-ის წარმომადგენლის სტატისტიკური მონაცემებით დაახლოებით 70% აბარებდა გამოცდებს ინგლისურ ენაზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი გვალიამ აღნიშნა, რომ მისთვის გასაგები იყო, რომ ენის სწავლება დაწესებულებისათვის დაკავშირებული იყო გარკვეულ ხარჯებთან, თუმცა დაწესებულების საუბრიდან გამომდინარე ძალიან მცირე ნაწილი რჩებოდა, ვინც ვერ აბარებდა ამ გამოცდას. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა ურჩია დაწესებულების წარმომადგენელს დარჩენილი 30%-თვის შეეთავაზებინათ დამატებითი ინგლისური ენის კურსები სწავლების მე-4 წელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 100% იანი დადებითი შედეგი არცერთ საგანში არ შეიძლება ყოფილიყო, შესაბამისად, არსებობდა ზოგადი სტატისტიკით გარკვეული ჩავარდნები დაბალ კურსებზე, სადაც დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა გარკვეული აქტივობები ენის კომპეტენციის გასაძლიერებლად, ასევე, სხვა დამატებითი სერვისები, რომელიც ასახული იყო დატვირთვის სქემებში. რაც შეეხება, მაღალ კურსებს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, არსებობდა დამსაქმებლებთან კატეგორია, რომლებიც სურვილისამებრ თავის ხარჯზე სთავაზობდა სტუდენტებს ინგლისური ენის გაძლიერებულ კურსებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დაამატა, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც სფეროს სრული სამუშაო ენა იყო ინგლისური, მათ შეცვალეს მიღების სტანდარტიც და ის აბიტურიენტი ხვდებოდა აკადემიაში, ვინც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარებდა ინგლისურ ენას. ხოლო რაც შეეხებოდა დიფერენცირებას, მისი თქმით უნივერსიტეტში მოხვედრისას ენის ცოდნის კომპეტენციის მიხედვით, ხდებოდა სტუდენტების გადანაწილება. მან ასევე დასძინა, რომ მე-4 კურსი იყო სპეციფიური საგნების სწავლების კურსი, მაგალითად, „საერთაშორისო საზღვაო კონვენციები“, სადაც გამოყენებული ლიტერატურა არ იყო ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ იმისათვის, რომ თანაბარ პირობებში ყოფილიყვნენ სტუდენტები, აკადემია სთავაზობდა



აღნიშნულ კურსს ქართულ-ინგლისურ ენაზე და შესაბამისად, მე-4 კურსზე ყველა სტუდენტი გადიოდა აღნიშნულ კურსს.

საბჭოს წევრი, ნინო ხოლუაშვილი დაინტერესდა გამოხატავდნენ თუ არა პრეტენზიას დამსაქმებლები სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონესთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ენის პრობლემა დამსაქმებლებთან ყოველთვის იდგა, ხოლო ტენდენციის მიხედვით, საზღვაო აკადემიაში ამ კუთხით სიტუაცია უმჯობესდებოდა და იზრდება იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც დამსაქმებლებისთვის დამაკმაყოფილებელ ინგლისური ენის ცოდნის დონეს და თავად პროფესიასაც ფლობდნენ. მისი თქმით, Ocean Foundation-ის წარმომადგენლებმა, რომლებიც ატარებდნენ გასაუბრებებს, 40 სტუდენტიდან აირჩიეს 36 სტუდენტი, რომლებიც გეგმაზომიერად დაასაქმეს. მისი თქმით, ეს კარგი შედეგი იყო, თუმცა დაამატა, რომ უკეთესიც შეიძლებოდა.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა თუ როგორ უმკლავდებოდა აკადემია ფინანსურად მაგისტრანტებთან ინდივიდუალური სასწავლო გეგმების გამოყენებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მაგისტრატურაზე არ იყო დიდ რაოდენობის კონტიგენტი. აქვე საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა განმარტა, რომ ისინი ძირითადად მეზღვაურები იყვნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საუბარი იყო არა ინდივიდუალურ გეგმაზე არამედ გრაფიკზე, სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაერეგისტრირებინათ საგნები, კრედიტებით გაანგარიშებული საათებიდან გამომდინარე დგებოდა გრაფიკი და შეეძლოთ ერთი ან ორი ინტენსიური კურსის გავლა. რაც შეეხება ფინანსურ ნაწილს, აკადემიური პერსონალის დატვირთვის მიღმა იყო გატანილი მაგისტრატურის საათები, რაც ითვალისწინებდა საათობრივ ანაზღაურებას, თუმცა გაცილებით ნაკლებს, ვიდრე ეს იქნებოდა დატვირთვის შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათთვის მაღიან მნიშვნელოვანი იყო ამ სტუდენტების დაბრუნება შემდეგ აკადემიაში და ყველანაირად ხელს უწყობდნენ მათ ამაში, მაგალითად, ისინი შესაბამისი მომზადების შემდეგ კითხულობდნენ სასწავლო კურსებს.

საბჭოს წევრმა, გიორგი აბრამიშვილმა აღნიშნა, რომ მეზღვაურების დაბრუნება ყოველთვის ვერ დაემთხვეოდა აკადემიურ კალენდარს. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, როგორ ახერხებდა აკადემია ასეთი სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შეფასებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დამსაქმებლები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან თავიანთი პრესტიულით, მათთან აკადემიას ჰქონდა ხელშეკრულებები და ისინი თანხმდებოდნენ იმაზე, რომ სტუდენტებისთვის შეექმნათ სამუშაო გრაფიკი აკადემიაში სწავლის სპეციფიკის გათვალისწინებით. მან დასძინა, რომ დამსაქმებელთა გარკვეული კატეგორია დაახლოებით ერთი თვით ადრე აცნობებდა სტუდენტს სამუშაოზე გამომახების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სამუშაოზე გამომახების თარიღი დაახლოებით ყველა სტუდენტმა იცოდა და შესაბამისად, მოცემული



დროის განმავლობაში, იმდენი კრედიტის გავლის საშუალებას აძლევდნენ, რამდენსაც მოასწრებდა. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა გამოძახება ხდებოდა უფრო ადრე, სტუდენტს უჩერდებოდა სტატუსი, გადახდილი თანხის შენარჩუნებით.

საბჭოს წევრი, ქეთევან ცხადაძე დაინტერესდა თუ ჰქონდა აკადემიას სტანდარტით დადგენილი მინიმალური კრედიტის დასაგროვებლად რამდენი კვირა იყო საჭირო, რაზეც უსდ-ის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 5 კრედიტის დასაგროვებლად დაახლოებით 3 კვირანი ინტენსიური სწავლება იყო საჭირო. აქედან გამომდინარე, ისინი ყოფდნენ სემესტრს ორ ნაწილად, რომ სტუდენტს ერთი ნაწილის ათვისება მოესწრო, სანამ გემზე გამოიძახებდნენ.

საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი დაინტერესდა დაწესებულებას თუ ჰქონდა ინტენსიური სწავლების შესახებ მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილი იქნებოდა თუ როგორ ნაწილდებოდა კრედიტები, რაზეც უსდ-ის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საუბარი იყო მაგისტრატურის დონის სტუდენტებზე, რომლებიც 3 კვირაში სწავლით დადგენ 5 კრედიტს. დარგის მარეგულირებელი კანონმდებლობიდან გამომდინარე, სტუდენტებს სულ მცირე 180 კრედიტი უნდა ჰქონოდათ ათვისებული, იმისათვის, რომ შეძლებოდათ ზღვაში გასვლა. მაგისტრატურის სტუდენტების 90-95%-ი იყო მეზღვაური, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელ დებულებაში გაწერილი იყო, რა შემთხვევაში და როგორ ხდებოდა მათთვის ინტენსიური კურსების გრაფიკის შემუშავება და პროცედურა.

16:08 საათზე საბჭოს შეუერთდა საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი.

საბჭოს წევრს, დალი კანდელაკს მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი აღწერილობა, პერსონალის საქმიანობის შეფასებისათვის სპეციალური წესების შემუშავებასთან მიმართებით არასაკრიალი მოეჩვენა და სოხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, უფრო დეტალურად ესაუბრა ამის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ ადამიანური რესურსების მართვის პროცედურა და პოლიტიკა, სადაც გაწერილი იყო რა ფორმით ხდებოდა პერსონალის შეფასება, ასევე, ცალკე ჰქონდათ აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის სპეციალური ფორმა, რომელშიც ასახული იყო მათი ვალდებულებები, აქტივობები და სასწავლო წლის ბოლოს ჩასაბარებელი ანგარიში შემდეგი საკითხების შესახებ: აუდიტორიული მუშაობა, სტუდენტებთან მუშაობა, კვლევითი კომპონენტი, სასწავლო მასალების შემუშავება. ხოლო რაც შეეხებოდა შეფასებას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აკადემიური პერსონალი აკეთებდა თვითშეფასებას, როგორც შეფასების ერთ-ერთ კომპონენტს. აღნიშნული დოკუმენტი განიხილებოდა ჯერ დეპარტამენტში და შემდეგ აკადემიურ საბჭოზე. დაწესებულებაში თვითშეფასების გარდა არსებობდა შეფასების სხვა კრიტერიუმებიც, მაგალითად, ურთიერთდასწრება, რა დროსაც წინასწარ იცოდა პედაგოგმა როდის და ვინ დაესწრებოდა მას ლექციაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასწრება ხდებოდა დარგის სპეციალისტების მიერ, კოლეგის და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელის მიერ, რის შემდეგაც ხდებოდა შეფასება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ მას სურდა, უფრო დეტალურად მოესმინა ურთიერთდასწრების შედეგების ანალიზის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ურთიერთდასწრების ანალიზი ხდებოდა წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით, სადაც აღნიშნული იყო აკადემიური დეპარტამენტის მიერ შედეგების გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ხდებოდა სასწავლო აუდიტორიული მუშაობის შეფასება. რაც შეეხება კომპონენტებს ესენი იყო: რამდენად გასაგები და საინტერესო იყო ლექცია, რამდენად თემატურად ემთხვეოდა სილაბუსებში გაწერილ თემას, რამდენად სრულყოფილად იყო გამოყენებული საჩვენებელი მასალები. აღნიშნული შეფასების შემდეგ, შეფასებელი წერდა ორი სახის რეკომენდაციას - კარგი პრაქტიკა (good practice) და მუშაობის გაუმჯობესებისათვის გასაცემი რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს მასალები გროვდებოდა და მას აჯამებდნენ კონკრეტული დეპარტამენტები (ნავიგაციის, მექანიკის, ელექტრომექანიკის, ინგლისურის და ა. შ.). რაც შეეხება რეკომენდაციებს, ის ძირითადად ეხებოდა მეთოდოლოგიის შეცვლას ან კონკრეტული პირის დატრენინგებას. დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ დეპარტამენტის დასკვნას ამოწმებდა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

საბჭოს წევრი, გიორგი გვალია დაინტერესდა თუ როგორ ხდებოდა ხარისხის სამსახურის მიერ იმის შემოწმება თუ როგორ გაითვალისწინა პედაგოგმა რეკომენდაციები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დეპარტამენტი დასკვნის გარდა დებდა განსახორციელებელ გეგმას და შემდეგ ფაკულტეტი და ხარისხის სამსახური ამოწმებდა მის შესრულებას. შეფასების ეს მეთოდი უკვე შეორე სემესტრია ტარდებოდა აკადემიაში.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ხანდახან კოლეგისთვის შეიძლება არ მიეცათ ისეთი შენიშვნა, როგორსაც ის სინამდვილეში იმსახურებდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ქვეყნდებოდა გრაფიკი და თუ არსებობდა ინტერესთა კონფლიქტი ხდებოდა მისი აღმოფხვრა, თუმცა მთლიანობაში შეფასების ეს მეთოდი მას არ მიაჩნდა მართებულად. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მისთვის უფრო მისაღები იყო სტუდენტების შეფასება ან სხვა ირიბი შეფასება, სასწავლო რესურსების, მეთოდოლოგიის და სხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ ეს იყო შეფასების ერთ - ერთი ფორმა და რომ დაწესებულებაში არსებობდა სტუდენტების კითხვარები და სხვა კრიტერიუმები, რითაც ხორციელდებოდა აკადემიური პერსონალის შეფასება.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ პროცედურის გამჭვირვალეობის საჭიროების მიუხედავად, რამდენად მართებულად მიაჩნდათ პედაგოგისთვის ლექციაზე დასწრების ზუსტი დროის და პიროვნების თქმა და ეს რამდენად გამორიცხავდა იმ ფაქტს, რომ პედაგოგი მხოლოდ იმ ლექციისათვის მოემზადებოდა. საბჭოს წევრის აზრით, უმჯობესი იყო ყველას სცოდნოდა ურთიერთდასწრების და შეფასების კრიტერიუმები შესახებ, მაგრამ დასწრების დრო არ ყოფილიყო დაკონკრეტებული.



საბჭოს წევრმა, გიორგი გვალიამ აღნიშნა, რომ იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მეორე სემესტრია დაიწყეს ურთიერთდასწრების შეფასების გამოყენება. საბჭოს წევრის განმარტებით, დასწრება ხდებოდა სემესტრში ორჯერ ერთი და იგივე ლექტორის ღუქციაზე, პირველი დასწრების შესახებ ის ინფორმირებული იყო, ხოლო მეორეს შესახებ - არა. სტუდენტების გამოკითხვას რაც შეეხება, მისი აზრით, ამ შემთხვევაში, დიდი იყო მიკერძოების ალბათობა და ეს დამოკიდებული იყო ლექტორების მიერ დაწერილ ქულებზე.

საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, თუ იკვლევდა ადმინისტრაცია მიზეზს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოზნების და მენეჯმენტის ფაკულტეტზე ორი სახის ურთიერთდასწრებები ხორციელდებოდა, როცა იცოდნენ კოლეგებმა ვინ დაესწრებოდა მას ღუქციაზე ან როცა არ იცოდნენ დასწრების შესახებ და მათ ესწრებოდა ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი და დეკანი.

საბჭოს წევრმა, გიორგი გვალიამ აღნიშნა, რომ ურთიერთდასწრება კარგი მეთოდი იყო მათვისაც, ვინც ესწრებოდა ლექციას, რადგან მათ უჩნდებოდათ კითხვები საკუთარ თავთანაც.

საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილის თქმით, დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსი საკრედიტო სისტემის სათავეებთან იდგა მრავალი წლის უკან. ის დაინტერესდა თუ რატომ ჰქონდა აკადემიას ყველა საგანი 5 კრედიტიანი, მისი აზრით, კრედიტების გაანგარიშება საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა მომხდარიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მან 2001 წელს ისწავლა კრედიტების გაანგარიშება ბრიტანეთში, სადაც დღესაც მოდულარული სისტემა იყო და კრედიტი კი - 5, 10, 20-ის ჯერადი. მისი განმარტებით, ყველა საგანში ერთი და იგივე კრედიტი ბევრი რამით იყო მოსახერხებელი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მობილობის დროს, როდესაც სტუდენტი იცვლიდნენ პროფილს, მისი გადასვლა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე არ იწვევდა დიდ დისონანს. ასევე, ყველა სტუდენტი არ იყო წარმატებული და როდესაც ხდებოდა დავალიანების მქონე სტუდენტების სემესტრის ფორმირება, ჯერადობა იყო მაღიან მარტივი 30 კრედიტის შემთხვევაში. მისი თქმით, ზუსტი კრედიტის დათვლა უფრო რთული პრობლემა იყო, ვიდრე მოდულარული სისტემის გამოყენება.

საბჭოს თავჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე-11

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის 6<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (ს/კ:245427337) მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

გამოცხადდა შესვენება 16:34 საათზე.

სხდომა განახლდა 16:40 საათზე.

3. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მათ საბჭოს წევრებისთვის წარედგინათ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე ანგარიში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რეზო კიკნაძემ თავი წარადგინა დაწესებულების მოქმედ რექტორად, თუმცა დასმინა, რომ ერთ კვირაში აღარ იქნებოდა დაწესებულების რექტორი, რადგან ტარდებოდა არჩევნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნიკოლოზ ხორბალაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ რეკომენდაციები ეხებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზების და ფინანსების საკითხებს. მისი განმარტებით, ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული ფინანსური ანგარიშგებები, რაც გაითვალისწინა დაწესებულებამ და ატვირთა. მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას რაც შეეხება, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას ჰქონდა ინსტრუმენტების ნაკლოვანება, რადგან ისინი დიდი ხანია ამორტიზებული იყო და საჭიროებდა განახლებას. მისი განცხადებით, მათ ჰქონდათ კაპიტალური განახლების მცდელობა, თუმცა ამან შედეგი არ გამოიღო, რადგან შეცვლილი იყო მირითადი მექანიზმები და ერთ წელიწადში ინსტრუმენტები მწყობრიდან გამოვიდოდა. გამომდინარე აქედან, აუცილებელი იყო ახალი ინსტრუმენტების შეძენის საჭიროება, რაც დაკავშირებული იყო დიდ თანხებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტრის და სპორტის სამინისტროში წარდგენილი ჰქონდათ პროექტი, სადაც გათვალისწინებული იყო ინსტრუმენტების



ეტაპობრივი განახლება, თუმცა აქვე დასძინა, რომ სხვა ფინანსური რესურსი მოძიებული არ იყო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ ფინანსური რესურსების მოსაძიებლად. როგორც სახელმწიფო ასევე, კერძო სექტორის მხრიდან, მაგრამ ჯერ-ჯერობით შედეგი სახეზე არ იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის აღნიშვნით, შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ნუცუბიძის ქუჩა #181-ში მდებარე კორპუსში სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟებას, რაც შეასრულეს და დღეისათვის აღნიშნულ მისამართზე დამონტაჟებული იყო სამეთვალყურეო კამერები ჩანაწერის შენახვის ფუნქციით. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სახანძრო უსაფრთხოებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მდგომარეობა არ შეცვლილა, მაშინაც და ახლაც კონსერვატორიას ჰქონდა 5 შესასვლელი: დიდი დარბაზის - 2 შესასვლელი, მცირე დარბაზის შესასვლელი, ცენტრალური კორპუსის შესასვლელი და ეზოში შემოსასვლელი, სახანძრო სამსახურს ხარვეზი არ დაუდგენია. რაც შეეხება თუ რა გაკეთდა ამ მიმართულებით, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, განთავსდა საევაკუაციო გეგმები და დამონტაჟდა სახანძრო გიდრანტი, ანტისახანძრო საშუალება, რომლის საშუალებითაც ხანძრის შემთხვევაში წვდომა ექნებოდათ წყლის ჭავლთან.

საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა შეახსენა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ რეკომენდაცია ეხებოდა შმდ პირებსაც, რასთან დაკავშირებითაც უსდ-ის წარმომადგენლის თქმით, კონსერვატორიამ შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების დახმარებით გააფორმა ხელშეკრულება შესაბამის ორგანიზაციასთან, შეადგინა ადაპტირების გეგმა, რომელიც მოიცავდა პანდუსების გაკეთებას კიბეების ფლიგელში, ლიფტის დამონტაჟებას, რადგან დაწესებულება კულტურული მემკვიდრეობის მეგლი იყო და არქიტექტურული ჩარევა რთული და საშიში იყო. მან დასძინა, რომ შემცირების მცდელობის მიუხედავად ბიუჯეტი 800 000 ლარს გასცდა და დღეის მდგომარეობით პირველი სართული უკვე ადაპტირებული იყო შმდ პირებისათვის. დაწესებულებას არ ჰყავდა შმდ სტუდენტი, თუმცა, ასეთის არსებობის შემთხვევაში ისინი მოახდენენ სასწავლო გეგმის ორგანიზებას ისე, რომ შმდ პირებს პირველ სართულზე შესძლებოდათ განათლების მიღება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხო რეკომენდაციების განხილვა. მისი თქმით, სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ კონსერვატორიას შეემუშავებინა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამყარებული უნდა ყოფილიყო ხუთ მიზანზე, რაც შეასრულეს. ასევე, მან თქვა, რომ ტარდებოდა რეგულარული შეხვედრები სტუდენტებთან კონსერვატორიის მიზნებზე და ფუნქციებზე სასაუბროდ (1.2 და 1.2.1 დანართი).

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ორგანიზაციულ სტრუქტურას და მართვას, კერძოდ, კი რექტორატის შეხვედრებს (ე.წ. სათათბირო). მისი განმარტებით, შეხვედრებზე დეტალები უფრო მკაფიოდ უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული, რათა წევრებს სცოდნოდათ თავიანთი ფუნქციები. ავტორიზაციის 2018 წლის 7 სექტემბრის საბჭოზე გაკეთებული განცხადებით, სათათბირო წარმოადგენდა რექტორის საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც მიზნად ისახავდა აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოზე განსახილველად გასატანი თემების შესახებ ინფორმაციის



გაცვლას და დისკუსიას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მას არ გააჩნდა გადაწყვეტილების მიმღები ან საკანონმდებლო ფუნქცია. ის არსებობდა იმისათვის, რომ საბჭო განსახილველად გატანამდე საკითხები მომზადებულიყო უფრო ხარისხიანად. საბჭომ ეს მოსაზრება მაშინვე გაიზიარა, ამიტომ დაწესებულებამ ამოწურულად მიიჩნია ეს საკითხი. რაც შეეხება 23 ივლისის საბჭო წარმოქრილ საკითხს საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს მითითებაც აღმოფხვრილი იყო.

საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი დაინტერესდა დამტკიცებული იყო თუ არა ახალი წესდება, რაზეც უსდ-ს წარმომადგენლის უპასუხა, რომ უკვე თვეებია წესდება განსახილველად იყო სამინისტროში, თუმცა დამტკიცებული ჯერ არ იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, კერძოდ, გარე მონაწილე მხარესთან კომუნიკაციას, რომ ის ყოფილიყო უფრო სისტემატიური და ინტენსიური, კურსდამთავრებულებს მიეღოთ სისტემატიური მონაწილეობა ხარისხის მექანიზმების შეფასებაში კონსულტაციების მეშვეობით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რეკომენდაცია, ასევე, მოიცავდა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმის შემუშავებას. აღნიშნულთან დაკავშირებით მოხდა დასაქმებულთა და კურსდამთავრებულთა ანკეტირება, სადაც გამოკითხვებში მონაწილეობდნენ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, კომპოზიტორთა და მუსიკის მცოდნეთა კავშირები. გარდა ამისა, საერთაშორისო ინსტიტუციური ურთიერთობის ფარგლებში, ჩამოყალიბდა საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც ჰელსინკის აკადემიის და დანიის მუსიკის აკადემიის პერსონალი შედიოდა. მისი თქმით, საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭოს პირველი ვიზიტი დაგეგმილი იყო 11 ნოემბრიდან 17 ნოემბრამდე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ისინი შეისწავლიდნენ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და შეფასებას. რაც შეეხება, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმს, ეს დოკუმენტი თანდართული ჰქონდა ავტორიზაციის თვითშეფასების დოკუმენტს და ექსპერტებს ჰქონდათ მისი გაცნობის შესაძლებლობა, ამასთან, თვითშეფასების 29-ე გვერდზე აღწერილი იყო სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის პრინციპები. თანდართული დოკუმენტით კი წარმოდგენილი იყო სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმის მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები (დანართი 2.2, დანართი 2.2.1 და დანართი 3).

საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა დაწესებულების ანგარიშიდან ამოიკითხა, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებთან დაკავშირებით გამოთქმული რეკომენდაცია, რომლის მიხედვით სტუდენტთა მცირე რაოდენობის გამო მათთან კომუნიკაცია უშუალო იყო და ფორმალიზებას არ საჭიროებდა, დაგეგმილი იყო ტექნოლოგიების გამოყენება და ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვა.

დაწესებულების წარმომადგენლის აღნიშნა, რომ აღნიშნული სისტემა მათ უკვე ჰქონდათ, რაზე უკვე დაწყებული იყო საინფორმაციო შეხვედრებიც. მისი განმარტებით, რაიმე სტრუქტურის შექმნა, პირიქით, ბიუროკრატიულს გახდიდა ურთიერთობებს, დაწესებულების წარმომადგენლებს კი სწორედ არაფორმალურობა მიაჩნდათ ეფექტურად, მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტი პატარა დაწესებულება იყო. დაწესებულების



წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ელექტრონული სისტემის გარდა ძალიან კარგად გამოიყენებოდა სოციალური ქსელიც ყველა სახის საურთიერთობო მექანიზმად. ელექტრონულმა სისტემამ კი უსდ-ს გაუმარტივა აღრიცხვა, თვითშეფასების სისტემატიზება და სტუდენტების ინფორმირება.

საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა მოლაპარაკების რა ეტაპზე იყვნენ პლაგიატის სისტემის შესყიდვასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ანტიპლაგიატის პროგრამის ლიცენზიის შესყიდვასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა მოლაპარაკებები.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა ასევე, დაამატა აკადემიური პერსონალის რომელ სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით იყო გაცემული რეკომენდაცია ექსპერტთა დასკვნაში და რა იყო დაწესებულების სამიზნე ნიშნულები აკადემიურ პერსონალთან მიმართებით. საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა დაამატა აღნიშნულ საკითხს და ანგარიშიდან ამოიკითხა, რომ დაწესებულება აგრძელებდა აღწერილი მეთოდოლოგით კონტიგენტის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამიზნე ნიშნული იყო დატვირთვების სქემა. მისი განმარტებით, დატვირთვების საათები აკადემიური პერსონალისთვის იყო - 1 200 საათი, რომელიც იყოფოდა ორ ნაწილად: საკონტაქტო საათები - საშემსრულებლო მიმართულებით 640 - 700 საათამდე, თეორიული - 400 - 500 საათი, დანარჩენი კი სამეცნიერო-შემოქმედებითი დატვირთვა.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა მსოფლიოში თუ არსებობდა კომპოზიციაში პლაგიატის დადგენის პროგრამული უზრუნველყოფა, რაზეც უსდ-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობდა მუსიკალური, ინტელექტუალური და შემოქმედებითი საავტორო უფლებების წინააღმდეგ რამდენიმე ციფრული სისტემა თითის ანაბეჭდის გამოყენებით.

საბჭოს წევრმა, დააზუსტა კითხვა, მან მოიყვანა მაგალითი: თუ ვინმე წერდა მელოდიას, რომელიც იყო უკვე პლაგიატი, ეს როგორ მოწმდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მუსიკალურად ეს ამბივალენტურ პრობლემას წარმოადგენდა, რადგან მას შეეძლო ძალიან ბევრი ციტატის გამოყენება, რომელსაც ჩასვამდა ბრჭყალებში. მან დაამატა, რომ ეთიკის თვალსაზრისით, კომპოზიტორები პროგრამული უზრუნველყოფით არ იყვნენ განებივრებულნი.

საბჭოს თავჯდომარე ძალიან დაინტერესდა თუ რა პროგრამული უზრუნველყოფა არსებობდა მუსიკასთან დაკავშირებით, რაზეც უსდ-ის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არსებობდა ციფრული თითის ანაბეჭდი, რომლითაც ხდებოდა საავტორო უფლებების დაცვა.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა ჰქითხა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ იყო შესაძლებელი ინსტრუმენტის ჩანაცვლება ნაწილობრივ ვირტუალური, კომპიუტერული ან ელექტრონული ინსტრუმენტებით, რაზეც უსდ-ის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ერთი



მხრივ, რომელიმე ელექტრონული პიანოთი შეიძლებოდა რომელიმე ტიპის მეცადინეობის უზრუნველყოფა, თუმცა დაწესებულებაში დიდი აქცენტი იყო პიანისტზე და საფორტეპიანო თანმხლებზე. ტრადიციული მუსიკალური აქტივობისთვის ეს დიდი ხანი ვერ გახდებოდა შესაძლებელი, ხოლო ინსტრუმენტების მოდერნიზებისათვის დაწესებულებას ჰქონდა მუსიკის ტექნოლოგიის განყოფილება, სადაც ვირტუალური ინსტრუმენტების შექმნა ინტენსიურად მიმდინარეობდა ელექტრონიკის საგანში.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა, დაწესებულების წარმომადგენელის აზრით, კომპოზიცია ტალანტი იყო თუ მისი სწავლა შეიძლებოდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მისი აზრით, კომპოზიცია, როგორც ადამიანის სხვა აქტივობა ერთნაირად შეიცავდა დათისგან ბოძებულ მონაცემებს და ამ მონაცემების განვითარების ვალდებულებას. მისი თქმით, საკომპოზიციო აზროვნება ნიჭიერების იგივე პრინციპებს ემყარებოდა, როგორც ყველა სხვა სფერო.

საბჭოს წევრმა, გიორგი აბრამიშვილმა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მან გადახედა დოკუმენტს და დარჩა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ის დაწერილი იყო შემდეგი სასწავლო წლის მისაღები კონტინგენტისათვის და არა დაწესებულების მთელი კონტინგენტისათვის. საბჭოს წევრის თქმით, დოკუმენტი დაწერილი იყო გვერდნახევარ ფურცელზე, სადაც არც თავში და არც ბოლოში არ ეწერა თუ რა დოკუმენტი იყო, ვინ და როდის დამტკიცა. საბჭოს წევრის განმარტებით, შესაძლოა სწორედ ამიტომ გაიცა რეკომენდაცია ექსპერტთა მიერ. ასევე, მისი თქმით, დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არ იყო საუბარი დამსაქმებლებთან ურთიერთობაზე. შესაბამისად, საბჭოს წევრის თქმით დოკუმენტი საჭიროებდა მოწესრიგებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყოველდღიურობა იმდენად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნას, რომ შესაძლოა ის დოკუმენტირებას აღარც საჭიროებდა. მისი თქმით, დამსაქმებლებისა და სტუდენტების ურთიერთობა კონსერვატორიის კედლებშივე იყო უზრუნველყოფილი. სტუდენტების უმრავლესობა გაწევრიანებული იყო ორკესტრებში, როგორც პედაგოგები. რაც შეეხება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, მისი ავტორი იყო კონსერვატორიის აკადემიური საბჭო.

საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა, პერსონალის მოტივაციის კვლევასთან დაკავშირებით, თუ ჩატარდა ანალიზი, რაზეც უსდ-ის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჰყავდათ მოწვეული სპეციალისტი, რომლის დასკვნაში ასახული ყველაფერი.

საბჭოს წევრი დაინტერესდა მირითადად, რითი იყვნენ უკმაყოფილონი თანამშრომლები, რაზეც უსდ-ის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ყველაზე დადებითი შეფასება ჰქონდა სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციას, დადებითად შეფასდა სამუშაო გარემოც, თუმცა უკმაყოფილება იყო გამოთქმული შრომის ანაზღაურების კუთხით, რადგან საქართველოში მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებს შორის ფინანსური უზრუნველყოფა ერთ-ერთ დაბალ ნიშნულზე, სწორედ, კონსერვატორიაში იყო. ყველაზე მაღალი ანაზღაურება სრული პროფესორის იყო და წარმოადგენდა 1 600 ლარი, თუმცა აკადემიური პერსონალის განაკვეთი სემესტრიდან სემესტრამდე იცვლებოდა და დამკიდებული იყო სხვადასხვა

სპეციალობების მიხედვით სტუდენტების რაოდენობაზე, დაწესებულებს წარმომადგენლის თქმით, ძალიან ცოტა აკადემიურ პერსონალს ჰქონდა სრული გრაფიკი (მაგალითად, ჩასაბერი, სიმებიანი საკრავები - ნახევარი განაკვეთი, ვოკალი - სრული). მისი თქმით, კონსერვატორიას სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისთვის ფინანსურად ეხმარებოდა ფონდი „იავნანა“.

საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენი სტუდენტი ჰყავდა კონსერვატორიას და რატომ არ ზრდიდნენ კონტიგენტს, რაზეც უსდ-ის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჰყავთ 475 სტუდენტი და კონტიგენტს არ ზრდიდნენ გამომდინარე იქიდან, რომ ის პირდაპირ კავშირში იყო უსდ-ის გადამხდელუნარიანობაზე და ასევე, იმაზე რომ ყველა სფეროში არ იყო დიდი ინტერესი. მაგალითად, ვოკალი, რაზეც დიდი იყო ინტერესი წარმოადგენდა უძვირეს პროგრამას, რომლის თვითღირებულება იყო 8 225 ლარი.

საბჭოს თავჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე-11

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის 6<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (ს/კ: 203850813) მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა 17:25 საათზე.

ხელმოწერა:

თავმჯდომარე

მდივანი

მარიამ დარბაიძე

ნინო ხოლუაშვილი

